გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ. ფოსტა natia.meladze@ens.tsu.edu.ge

ნათია მელაძე

საქართველოს „მთის კანონის“ გეოგრაფიული თავისებურებანი

მთიან ტერიტორიებს საქართველოს ტერიტორიის 54% უკავია. მისი ძირითადი ნაწილი ექსტრემალური გარემო პირობებით (ადგილის სიმაღლე, დაბალი ტემპერატურები, დაბალნაყოფიერი ნიადაგები, ფერდობების დახრილობა, კლდები, მუდმივი თოვლი და სხვ.), გეოდინამიური პროცესებით (ეროზია, ღვარცოფული ნაკადები და სხვ.) ხასიათდება, რაც ართულებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, მთები გამოირჩევიან მოსახლეობის და ბუნების მრავალფეროვნებით, რეკრეაციული და ტურისტული რესურსებით. მთების ოპტიმალური გამოყენება ნებისმიერი მთიანი ქვეყნის განვითარების არსებითი წინაპირობაა.

საქართველოს მთიანეთში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარება შექმნილი. აქ ყველაზე დიდ პრობლემას მიგრაციული პროცესები და მთის სოფლების დაცარიელება წარმოადგენს. თითქმის დაცლილია რაჭის, სვანეთის, ხევსურეთის, თუშეთის, მთიულეთის და სხვა ისტორიულ - გეოგრაფიულ პროვინციათა სოფლები. საქართველოში ამ პრობლემების პრევენციისთვის 1999 წელს მიიღეს „ მთის კანონი “ , თუმცა ის მხოლოდ 2016 წელს ამოქმედდა. კანონი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მისი მოქმედების არეალი არაერთ გეოგრაფიულ ფაქტორს ითვალისწინებს. კანონის მეშვეობით მთის მოსახლეობა იღებს სხვადასხვა სოციალურ შეღავათს, საპენსიო თუ სახელფასო დანამატს.

სამაგისტრო ნაშრომი უკავშირდება რამდენიმე აქტუალური საკითხის შესწავლას: 1. ევროპის განვითარებული ქვეყნებში მთიანი რეგიონების საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლას და შედარებით ანალიზს; 2. „საქართველოს მთის კანონის“ შინაარსობრივ ანალიზს და მისი მოქმედების გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლას; 3. საქართველოს მთის სოფლების მოსახლეობის დინამიკას (1989 – 2017 წლებში) და მის კავშირს გეოგრაფიულ გარემოსთან; 4. მთის კანონის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის (მცხეთა-

მთიანეთი) დამოკიდებულების და მისგან განპირობებული შესაძლებლობების კვლევას სოციოლოგიური გამოკითხვის და ანალიზის გზით;